

THE POPULATION OF TSKHAVATI VALLEY IN THE 70S OF THE 19TH CENTURY

ცხავატის ხეობის მოსახლეობა XIX საუკუნის 70-იან წლებში

DAVID AKHLOURI

Doctor of History Associate Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995568990779, datoakhouri@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-1068-4042>

Abstract

The work discusses the villages of the historical Tskhavati Gorge. Based on the research topic, particular attention is paid to the demographic situation existing in the villages of Tskhavati in the 70s of the 19th century, while also reviewing the historical-geographical environment, social and economic issues of the valley. The discussion covers the religious life of the village and the sanctuaries located there, including the 8th-9th century Church of the Savior, where the oldest lapidary inscription commemorating craftsman Ina Kalatozi has been preserved.

This appears to be an academic work about a Georgian historical region, focusing on demographic, social, economic, and religious aspects of the Tskhavati Valley during a specific period in the 19th century.

The village population celebrated almost all Christian holidays, such as the Virgin Mary, the Lomisoba, Saint George, Saint Tomas Sunday, the Archangel, the Barbarian... Sometimes several holidays were celebrated together in one church, which led to its mention by different names...

In order to present the demographic picture of the village, the book of Samtavisi seat of the second half of the 18th century, the statistical descriptions of Ksni Saeristavo in 1774 and 1783, the book of "Gasakvani Morigi" from the villages of Zemo Kartli from the years 1774-1800 are reviewed, through which we get to know the dynamics of the rural population of the relevant period, the views imposed on them, here existing agricultural branches, existing relations between serfs and lords.

Analysis of 19th-century sources begins with the 1803 royal census, followed by Russian chamber censuses beginning in 1804 and ending with the 1886 census. The population of the 20th century is discussed according to the union censuses of 1923, 1939, 1959, 1970, 1979 and 1989. An important place is given to the situation of the beginning of the twenty-first century and the subsequent occupation of Akhlagori municipality. It should also be noted that the majority of chamber or union descriptions of the XIX-XX centuries are published for the first time, which makes the research topic more important and relevant. In order to better present the past of the village, together with historical sources, attention is paid to the folklore material preserved by the population of the Ksani valley.

Key words: tskhavati valley, demographic lists, cameral description, household, churches monasteries, the chieftains of ksani, serf-peasants, migration, occupation.

დავით ახლოური

ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., №53,1400, საქართველო,
+995568990779, datoakhouri@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-1068-4042>

აბსტრაქტი

ნაშრომში საუბარია ისტორიული ცხავატის ხევის სოფლებზე. საკვლევი თემიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა XIX საუკუნის 70-იან წლებში ცხავატის სოფლებში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებას, ამასთან მიმოხილულია ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული გარემო, სოციალური და ეკონომიკური საკითხები. საუბარია სოფლის რელიგიური ყოფასა და იქ არსებულ სალოცავებზე, მათ შორის VIII-IX საუკუნეების მაცხოვრის ეკლესიაზე, სადაც შემორჩენილია ხელოსან ინა კალატოზის მოსახსენებელი უძველესი ლაპიდარული წარწერა.

სოფლის მოსახლეობა თითქმის ყველა ქრისტიანულ დღესასწაულს აღნიშნავდა: ღვთისმშობლობას, ღმრთისობის, გიორგობას, კვირაცხოვლობას, მთავარანგელოზობას, ბარბარობას... ეკლესიების გარდა ცალკე ნიშებიც ჰქონდათ აგებული.

სოფლის დემოგრაფიული სურათის წარმოსაჩენად მიმოხილულია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარი, ქსნის საერისთავოს 1774 და 1783 წლების სტატისტიკური აღწერილობები, 1774-1800 წლების დავთარი ზემო ქართლის სოფლებიდან „გასაყვანი მორიგისა“, რომელთა მეშვეობითაც ვეცნობით შესაბამისი პერიოდის სოფლის მოსახლეობის დინამიკას, მათზე დაკისრებულ გადასახედებს, სოფლის მეურნეობის დარგებს, ყმა-გლეხებსა და მებატონეთა შორის არსებულ ურთიერთობებს.

XIX საუკუნის წყაროების ანალიზი 1803 წლის საუფლისწულო აღწერით იწყება, რასაც რუსული კამერალური აღწერები მოსდევს, დაწყებული 1804 წლიდან 1886 წლის აღწერის ჩათვლით. XX საუკუნის მოსახლეობაზე საუბარია 1923 წლის, ასევე 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლების საკავშირო აღწერების მიხედვით. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა XXI საუკუნის დასაწყისისა და ახალგორის მუნიციპალიტეტის ოკუპაციის შემდგომდროინდელ ვითარებას. აღსანიშნავია ისიც, რომ XIX-XX საუკუნეების კამერალური თუ საკავშირო აღწერების უმრავლესობა, ქვეყნდება პირველად, რაც საკვლევ თემას უფრო მნიშვნელოვანსა და აქტუალურს ხდის.

სოფლის წარსულის უკეთ წარმოსაჩენად, ისტორიულ წყაროებთან ერთად ყურადღება ეთმობა ქსნის ხეობის მოსახლეობაში შემორჩენილ ფოლკლორულ მასალას.

საკვანძო სიტყვები: ცხავატის ხეობა, დემოგრაფიული ნუსხები, კამერალური აღწერა, კომლი, ეკლესია-მონასტრები, ქსნის ერისთავები, ყმა-გლეხები, მიგრაცია, ოკუპაცია.

შესავალი

ქსნის ხეობა, მდინარე ქსნის გარდა, რამდენიმე სხვადასხვა ხევს მოიცავს, მათ შორის ცხავატურას, რომელიც მდებარეობს ახალგორის მუნიციპალიტეტში, მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს, ალევის ქედის დასავლეთ კალთაზე. ახალგორიდან დაშორებულია 20 კილომეტრით.

ისტორიული ცხავატის ხევი ფეოდალური საქართველოს ეკონომიურად და პოლიტიკურად დაწინაურებულ, მაღალი კულტურის მატარებელ სახევისთავოს წარმოადგენდა (ქენქაძე, 2008: 26).

ცხავატის ხევის ტერიტორიაზე ქართული ხუროთმოძღვრების რამდენიმე შესანიშნავი ძეგლია, მათ შორის მაცხოვრის ეკლესია, რომელიც „ჩუმაანთ უბანში“ მდებარეობს და VIII-IX საუკუნეებით თარიღდება (გვიანდელი გადაკეთებებით). აშენებულია ფლეთილი ქვითა და ქართული აგურით. იატაკის დასაგებადაც ქართული აგურია გამოყენებული. ტაძარი გარედანაც და შიგნიდანაც თეთრადაა შელესილი.

XIX საუკუნეში ტაძრის სამხრეთით და ჩრდილოეთით მდებარე სარკმლები გაუგანიერებიათ. სამრეკლო ეკლესიის დასავლეთ კეხზეა დადგმული. აღმოსავლეთ სარკმლის თავსართად შირიმის ქვაზე ამოკვეთილია ტოლმკლავა ჯვარი.

ეკლესიის სამხრეთით გაჭრილ სარკმლის თავზე, კედელს თითქმის მთელ სიგრძეზე გაუყვება თარო. დასავლეთის ფასადი სადაა, ჩრდილოეთის ფასადზე კი კამარის ქუსლი შეიმჩნევა (შიდა ქართლი, 2008: 238-239).

აღმოსავლეთ ფასადზე მოთავსებულ ქვის ფიქალზე (93/31 სმ.) განთავსებულია სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, სადიდებელი „ერის ცხავატისა“ და ხელოსან ინა კალატოზისა, რომელსაც ნოდარ შოშიაშვილი და გიორგი ოთხმეზური, პალეოგრაფიულ ნიშნებზე დაყრდნობით, X საუკუნით ათარიღებენ, ხოლო ჯონდო გვასალია - IX-XI საუკუნეებით...

„1. ქ. ხატო ღ(მრ)თ(აეზი)ს(ა)ო ას(იდენ) ე

2. რი ცხავატი და ინა კა

3. ლატ(ო)ზი ამენ. შ(ეიწყალე)ნაფენა ი.“ (შოშიაშვილი 1980: 191-192; ოთხმეზური 1996: 139; გვასალია 1967: 38).

ეკლესიის გარშემო ყორე გალავანია, გალავნის გარეთ საფლავის ქვებია.

მაცხოვრის ეკლესიის წარწერაში საყურადღებოა ფრაზა „ერი ცხავატი“, რომელიც ტაძრის აღმშენებელია. ჯ. გვასალიას მინიშნებით: აქ ტერმინი „ერი“ აღნიშნავს პატარა ხევის ანუ სასოფლო თემის მოსახლეობას“ (გვასალია, 1967: 38).

ცხავატის ეკლესიის აღდგენაზე საუბარია გაზეთ „ივერიის“ 1895 წლის 17 აგვისტოს კორესპონდენციაში. წერილის ავტორი ანასტასია ერისთავი მოგვითხრობს ქსნის ხეობაში არსებული ეკლესია-მონასტრების სავალალო მდგომარეობასა და მათ გადასარჩენად სამზრუნველოების დაარსებაზე. ტაძარი აღარ ყოფილა, რომელსაც ოც თუმანზე მეტი ებადა. სამრევლოებთან აღარ არსებობდა სკოლები, რომლებიც გარშემო მცხოვრები ხალხის განვითარებაზე იზრუნებდა, უფრო მეტიც, ტაძრები იქცეოდა და მრევლს წირვა-ლოცვის

საშუალება ესპობოდა. სამზრუნველოების დაარსებამდე, ქსნის ხეობის ბოქაულის, თავად კონსტანტინე შალიკაშვილის გამჭრიახობითა და დაუღალავი შრომით განადგურებას გადარჩენილა ცხავატის უძველესი ეკლესია: „დღეს თუ ხვალ ცხავატელები ელოდნენ პირჯვრის-წერის დავიწყებას, მაგრამ შალიკაშვილის მეოხებით ეკლესია აღდგენილ იქმნა. ბევრი ხატები და კანკელის მორთულობა მოსკოვიდგანაც გამოიწერა და დღეს ცხავატის ოღრო-ჩოღრო სალ-კლდიანის ხევიდგან გამოსჩანს რწმენა ქრისტეს სარწმუნოებისადმი“ - წერს ავტორი (**ერისთავი, 1895: 2**). მართალია ანასტასია ერისთავი მაცხოვრის ეკლესიის აღდგენაში განსაკუთრებით გამოყოფს ქსნის ბოქაულის ღვაწლს, თუმცა ძველი ეკლესიის აღსადგენად და განსახლებლად დიდი შრომა გაუწევია აქაურ მაცხოვრებელს ზაქარია სუხაშვილს. დადიოდა თურმე ქალაქ-სოფლებში და შემოწირულობებს აგროვებდა. თვითონაც მუშაობდა და ორი წლის შრომის საფასური - 210 მანეთი მთლიანად ეკლესიისთვის შეუწირია, რისთვისაც სასულიერო მთავრობის ლოცვა-კურთხევით დაჯილდოებულა. „ეხლა ბ-ნი სუხაშვილი სცდილობს როგორმე გუმბათი დაადგას ეკლესიას და იქვე, გვერდით ერთი ან ორი ოთახი ააშენოს სკოლისათვის. სასურველია, რომ ხალხმაც და ყველა ამისთანა საქმის გულ-შემატკივარმა დახმარება რამე აღმოუჩინოს, თორემ ერთი კაცი ვერას გახდება“ - მოგვითხრობს 1893 წლის 5 მარტის „ივერია“ ანონიმი ავტორის პუბლიკაციაში, რომელიც ცხავატში განახლებული მაცხოვრის ეკლესიის კურთხევას ეხება (**„ივერია“, №46, 1893: 2**).

ვ. ქენჭაძე ცხავატის ხევის ეკლესია-მონასტრებიდან ყველაზე უფრო „ღირშესანიშნავ, პომპეზურ და საამაყოდ მიიჩნევს ღვთისმშობლის სალოცავს: „ძვირფასი ფრესკებით, სამრეკლოებით, გალავნით, ლამაზად გაფორმებული შესასვლელებით, უნიკალური წყალსადენ და რძისსადენ სისტემით, გალავანში მოქცეული სენაკებითა და დამატებითი სამლოცველოებით, უანგარიშო სადგომები და საცხოვრისები ბერთათვის, წისქვილები და ორმო-ბეღლები, უამრავი თავდაცვითი, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, საიდუმლო სამალავებითა და გვირაბ-გასასვლელებით. ერთ-ერთი უმთავრესი რგოლი ქსნის ხეობის ოპტიკური ტელეგრაფის ერთიანი ჯაჭვისა“ (**ქენჭაძე, 2008: 26**).

მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ეკლესიის გარდა, ცხავატის ხევის ტერიტორიაზე მდებარეობს გვიანი შუა საუკუნეების წმინდა გიორგის ეკლესია, გვიანი შუა საუკუნეების „ლომთის ეკლესია“, გარდამავალი ხანის წმინდა გიორგის ეკლესია, გვიანი შუა საუკუნეების წმინდა ბარბარეს კოშკი-სალოცავი, გარდამავალი შუა საუკუნეების ეკლესია ადგილ ვაკიჯვარში, XX საუკუნის ნიში ვაკიჯვრის ეკლესიიდან 5 კმ.-ში, გარდამავალი ხანის შხამურის ციხე. ს. მაკალათიას გასული საუკუნის 60-იან წლებში ვასო ნიკოს ძე ხუხაშვილისგან, რომელიც იმ დროს 73 წლის ყოფილა, ჩაუწერია თქმულება - „ლეკებს შხამურისათვის შემოურტყამთ ალყა და ვერ გაუტეხიათ. მაშინ ლეკებისათვის მკითხავს უთქვამს, ვირებს მარილი შეაჭამეთ და წყლის მიღებს იპოვნიათ. ლეკებმა მწყურვალე ვირები ციხის გარშემო თურმე ატარეს და ბოლოს წყლის მილი იპოვეს და ციხეც აიღეს“ (**მაკალათია, 1968: 74**).

ცხავატის ხევის ტერიტორიაზე მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფელი (ცხავატი ასევე სახელწოდება გახლავთ ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის, რომელიც დაბა ფასანაურის ჩრდილოეთითაა სოფელ ქვეშეთამდე). ს. მაკალათიას მინიშნებით „ცხავატურა“ (ასე მოიხსენიებს იგი სოფელს) მდინარე ქსნიდან, სადაც მას ცხავატურა შეერთვის, 3-4 კილომეტრზეა, სოფელი მთაზეა და შვიდ უბნადაა დაყოფილი“ (**მაკალათია,**

1968: 75). ტოპონიმი „ცხავატი“ მიგვითითებს მთაგორიან, ბარიდან მთისკენ გარდამავალი რელიეფის აღმნიშვნელ მხარეზე.

ცხავატის ხევი განსაკუთრებით ცნობილი იყო მეთუნეობით. ცხავატური თიხის ჭურჭელი დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა მთელ საქართველოში. გამოირჩეოდა ცეცხლგამძლეობით, ასევე ცივად ინახავდა წყალს. „ივერიის“ 1888 წლის 27 ივლისის ნომერში ავტორი „ძმუისელის“ ფსევდონიმით ხაზგასმით მიგვითითებდა მეთუნეობით ცნობილ სოფელ ცხავატის თიხის ყოველგვარი ჭურჭლის საუკეთესო თვისებებზე, მთელი ტფილისის გუბერნია ცხავატური მეთუნეების ნახელავი ჭურჭლით მარაგდებოდაო (**ძმუისელი, 1888: 2**). ცხავატელებს ჰქონდათ ვარგისი თიხა მიწის დიდი მარაგი. თიხას იღებდნენ ადგილ „დავუთალას“ ტერიტორიიდან, 5-6 მეტრის სიღრმიდან, რომ ხარისხიანი ჭურჭელი დაემზადებინათ. ზედაპირული თიხა მასალად ვერ გამოდგებოდა, რადგან მისგან დამზადებული ჭურჭელი მალე იშლებოდა. თიხა მთიდან ჩამოჰქონდათ ზურგით ან ცხენით. აშრობდნენ, გაცრიდნენ და ფეხით ზელავდნენ, რის შემდეგაც მუხის მორგვზე აკეთებდნენ სხვადასხვა ჭურჭელს: ქილას, ქვევრს, კოკას, სადღვებელს, ქვაბს, ხელადას, ლიტრას, ჯამს, საღვინეს, სურას... ცხავატური თიხის ჭურჭელი განსაკუთრებული მოცულობით არ გამოირჩეოდა, კოკა 10-12 ლიტრიანი იყო, ქვევრი არა უმეტეს 100 ლიტრიანი.

გამზადებულ ჭურჭელს მზეზე აშრობდნენ და ქათმის ფრთისაგან შეკრულ „ფთე“-თი აჭრებდნენ მოყვითალო მიწის საღებავით, რომელსაც „წენაკი“ ეწოდება. ის ძნელი საშოვარი ყოფილა და კასპთან ახლოს აშურიანის კლდეში მოიპოვებდნენ. მზეზე გამომშრალი ჭურჭლის გამოწვა ღუმელში ხდებოდა, გამოწვისას მოყვითალო საღებავი წითელ ფერს იღებდა და ჭურჭლიდან აღარ გადადიოდა. გასაყიდად, ძირითადად, ქართლში გაჰქონდათ ცხენების მეშვეობით, „ჭურჭელს ყიდიდნენ ჭირნახულის იმ რაოდენობაზე, რაც შიგ ჩაეტეოდა. ფულზე ჭურჭელი თურმე იშვიათად იყიდებოდა“ (**მაკალათია, 1968: 76-77**).

„მეჭურჭლეობა ცხავატში დღესაც არაა დავიწყებული. აქ მცხოვრებნი (ბუნტური, სუხაშვილი, გოგიჩაშვილი...) კვლავ ამზადებენ ქვევრებს და თავიანთ წინაპართა ხელობას ჯერ კიდევ უნარჩუნებენ სიცოცხლეს, მაგრამ მეტად შემცირებული მასშტაბით. პირველ რიგში ამის მაჩვენებელია სხვაგან გადასახლების შედეგად მოსახლეობის შემცირება, როგორც მთხრობელებმა გადმოგვცეს“ - წერდა ვ. ითონიშვილი 1974 წელს გამოცემულ წიგნში „ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან“ (**ითონიშვილი, 1974: 85-86**).

მდიდარი ტრადიციებიდან გამომდინარე ცხავატურ მეთუნეობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

ცხავატის ხევის მოსახლეობის ერთ-ერთ უძველეს საქმიანობად მევენახეობა ითვლებოდა. მდინარე ცხავატურაზე - რეხვას მარჯვენა ნაპირზე ტერასულად ჰქონიათ გაშენებული ვაზი - მაღლარი. „ვაზს რომ ქსნის ხეობაში საპატიო ადგილი ეკავა, იქიდანაც ჩანს, რომ ქსნის ერისთავების რეზიდენციაში 1759 წელს აგებული ლარგვისის წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესიის კარები, გადმოცემის მიხედვით, ცხავატის ვაზისაგან ყოფილა დამზადებული“ (**ქენჭაძე, 2010: 157**).

მეთოდები

საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ ქსნის ხეობის შესახებ არსებული წყაროებისა თუ სხვა ისტორიული მასალის კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ ცხავატის ხეობაში საუკუნეების მანძილზე არსებული ისტორიული, ეკონომიკური, დემოგრაფიული და კულტურული ვითარება. დაკვირვება-შედარების მეთოდი გვებმარება მოვახდინოთ დემოგრაფიული ნუსხების ერთმანეთთან შედარება და განვსაზღვროთ წლების მიხედვით ხეობაში არსებული მოსახლეობის შემადგენლობა. ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

შედეგები

ჩემთვის, როგორც ქსნის ხეობის მკვიდრისთვის, მშობლიური და ახლობელია იქ არსებული თითოეული სოფელი, შესწავლილი მაქვს მოსახლეობის სოციალური, რელიგიური და ეთნოგრაფიული ყოფა, ეპიგრაფიკული მასალა, ციხე-კოშკები, სალოცავები, რაც გარკვეულ წილად მიაღწილებს ჩვენამდე მოღწეული წყაროების გავრცობასა და ფაქტების ახლებურად წარმოჩენას.

ნაშრომში გაანალიზებულია ქსნის ხეობის შესახებ არსებული ისტორიული წყაროები, საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობები, კამერალური და საკავშირო აღწერების მონაცემები, რომლის საფუძველზეც შესწავლილია სოფელ ცხავატში არსებული დემოგრაფიული და ეკონომიკური ვითარება, მეთუნეობის ტრადიციები, მოძიებულია ცნობები იქ არსებული ეკლესია-მონასტრებისა და სოფლის მცხოვრებთა რელიგიური და ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ.

საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეცხრამეტე საუკუნის 70 წლებში ცხავატში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებას, რომელიც შესწავლილია 1873 წელს ჩატარებული კამერალური აღწერის მიხედვით.

დისკუსია (მსჯელობა)

ცხავატის მოსახლეობის შესახებ პირველ ცნობებს ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობებში ვხვდებით. 1774 წლის მონაცემებით, ცხავატში 35 კომლი ცხოვრობდა (წყაროში მოხსენიებულია ცხავატის სახელწოდებით). უმეტესობა ბუნტურები იყვნენ: 23 კომლი (40 მამაკაცი), მელთაურები - 1 კომლი (3 მამაკაცი), ჟივიძეები - 4 კომლი (5 მამაკაცი), ყურაულები - 3 კომლი (3 მამაკაცი). ცხავატის ღვთისმშობლის ეკლესიას ეკუთვნოდნენ ოსიშვილები - 2 კომლი (2 მამაკაცი). 1 კომლი ბოგანოდ მოსული ახლოურები იყვნენ: „აქავ ბოგანო (უვენახო, მცირემიწის მქონე გლეხი) ახლოური გიორგის შვილი კომლი ა თავი ბ ქიტესა და აღდგომელა“. წყაროში მოხსენიებულია ხიზან არაგვის ერისთავის ყმა ხადელი ჩოქურის შვილი ვაჟიკა. სულ: 56 მამაკაცია.

საყურადღებოა მცხოვრებთა სტატუსები. ვხვდებით მოურავ შიო ბუნტურს, რამდენიმე მსახურს, ხაზახს, მეჯინიბეს, მზარეულს, ფარეშს, ბოგანოს, ხიზანს (ჯავახიშვილი, 1967:

193-194; თაყაიშვილი, 2022: 696-697)... განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო მსახურის ინსტიტუტს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა საქართველოში, იგი ჩვეულებრივ გლეხზე უფრო დაფასებული ჩანს. მაგალითად, ბექას სამართლის მიხედვით მსახურის სისხლი შეფასებულია 1000 თეთრად, გლეხის სისხლი - 400 თეთრად, ხოლო აზნაურის - 12000 თეთრად. მსახურის ძირითადი მოვალეობა ლაშქრობისა და ნადირობის დროს მეზატონის გვერდით ყოფნა და ძღვენის მირთმევა იყო: „არა კოდის პური, არა ღალა, არა კულუხი, არა ჩვენი ხვნა, არა მკა, არა ლეწვა, არა ზვარში მუშაობა, არა ქვევრის რეცხვა... არაფერი ღუთის განაჩენი ხორციელის კაცის სარჩო და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს ლაშქრისა და ნადირობის მეტი და მსახურობა და ძღვენი. სხვა შენს კარზე არა მოდგეს რა მზისა და წვიმის მეტი. ჩემი ტომარა რომ კარზე ჩამოგივარდეს, არც იმას საბელი არ ათხოვ" - კვითხულობთ რევაზ ერისთავის მიერ თამაზა ბუჩაშვილისადმი გაცემულ XVII საუკუნის სითარხნის წყალობის წიგნში (**ბერძენიშვილი, 1940: 20**). ცხავატში მცხოვრები ბუნტურების გარკვეული ნაწილი პრივილეგიურულ გლეხთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა. მსახური შეძლებულ გლეხს უტოლდებოდა. მას მხოლოდ ლაშქრობა-ნადირობისა და თავადის კარზე სამსახური უნდა გაეწია. საინტერესოა მსახურთან დაკავშირებული დ. გვრიტიშვილის მოსაზრება: „არ არის გამორიცხული ვიფიქროთ, რომ მსახურთა სახით თავადებს ჰყავდათ შეიარაღებული ამაღა, რომელსაც იყენებდნენ როგორც ურჩი ყმების დასასჯელად, ისე მეზობელ ფეოდალებიდან საკონფლიქტო საკითხების ძალით გადაჭრისათვის" (**გვრიტიშვილი, 1955: 188**). ცხავატის მცხოვრებთა ერთი ნაწილი კი, მეთუნეობის გარდა, სხვადასხვა ხელსაქმეს მისდევდა.

1883 წლის აღწერით „ცხაოტი“ იეროთი ბუნტურის სამოურავოა. სოფლის მოსახლეობა შეადგენდა 36 კომლს, აქედან 34 კომლი მემკვიდრე იყო, 2 კომლი არაგველი ხიზნები: ხადელები ვაჟიკა და იოსები. აღწერაში კომლების ნაწილი მამიშვილობითაა მოხსენიებული. თუ 1774 და 1783 წლის აღწერებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ 1783 წლის აღწერაში ნაჩვენებია სუხას შვილები, ჩუმას შვილები, გოგიას შვილები, კალო მლეწავები და გოგიას შვილები ბუნტურების შთამომავლები იყვნენ, რომელთაც მამიშვილობა გაუგვარდათ (**ჯავახიშვილი, 1967: 193-194; 235-236; 237; თაყაიშვილი, 2022: 661-662; 696-697**). როგორც რ. თოფჩიშვილიც შენიშნავს, „ცხავატის ხეობა ძირითადად ერთი გვარით - ბუნტურებით იყო დასახლებული. 1774 წელს ცხავატში ცხოვრობდნენ, აგრეთვე ჟივიძეები, მელთაურები, ყურაულები, ოსიშვილები და ხადიდან მიგრირებული ჩოქურები. ბუნტურების ნაწილი დღეს სხვადასხვა გვარს ატარებს: გოგიაშვილი, გოგიჩაშვილი, სუხაშვილი, კალომლეწავი. აქვე მკვიდრობს ხურიშვილის გვარი, რომლის წინაპარც მესისხლეობის გამო, თრუსოდან ცხავატში შემოხიზნულა.

ოსიშვილები ცხავატში უსანეთიდან ყოფილან მოსული, სადაც ბოლოდრომდე სალოცავადც დადიოდნენ. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცხავატში მთიული ბურდულები დამკვიდრებულან. მელთაურების ძირი-გვარია ქავთარამე. რაც შეეხება ყურაულებს, ისინი ხევსურეთიდან უნდა იყვნენ მოსული. ივ. წიკლაურის მიერ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალით, ყურაულები ხევსურეთის სოფელ როშკის ერთ-ერთი თავდაპირველი მკვიდრები ყოფილან. ისინი, ხურიშვილებთან ერთად, ბუნტურების ამანათებად მიიჩნევიან.“ (**თოფჩიშვილი, 1987: 26-27**).

სოფელ ცხავატის მკვიდრნი ერეკლე მეორის დროს შექმნილ მორიგე ლაშქარშიც იყვნენ გამწესებულნი. 1774-1800 წლებით დათარიღებულ ზემო ქართლის 58 სოფლიდან გასაყვანი მორიგის დავთარის მიხედვით „ქ. ცხაოტიდამ“ ლაშქარში გაწვეულნი ყოფილან:

ბუტირი (ბუნტური) ოთარიშვილი ბასილა.

ბუნტური ოქროპირისშვილი სიხარული.

ბუნტური გიორგიშვილი დათუნა.

ბუნტური ბუნტურიშვილი შერმაზან. (კლიმაშვილი, 2022: 213-214).

1794-1799 წლების ქართლ-კახეთის აღწერაში „ცხაოტი“ ქსნის ხეობის სოფლების იმ რიგშია, რომელიც „თვის ეყოდა მეფის ძეს იოანეს სააზნაუროებით“ (იოანე ბატონიშვილი, 1986: 36).

1803 წლის იოანე ბატონიშვილის საუფლისწულო აღწერის შეჯამებითი ცნობების მიხედვით, ცხავატი ქარჩოხის ხეობის სოფლების რიგშია მითვლილი, რაც შეცდომაა, თუმცა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი უფრო დემოგრაფიული მონაცემებია: 36 კომლი, 138 მამაკაცი, 116 ქალი (254 სული) (Акты, 1868: 82).

1804 წელს კომლთა რიცხვი 37 იყო, 148 მამაკაცი და 107 ქალი (255 სული). ბუნტურები 21 კომლია, 84 მამაკაცი, 60 ქალი (144 სული). აღწერაში ყურადღებას იქცევს რამდენიმე გვარი, მაგალითად ყურგულაშვილი, რომელიც ჩვენი დაკვირვებით ყურაული უნდა იყოს, ოჩხაშვილი - გოგიაშვილი. ასევე შეცდომითაა მითითებული გვარი ჟავაძე, რომელიც სინამდვილეში ჟივიძეა. აღწერაში ვხვდებით ასევე მელთაურებს - 4 კომლი, 12 მამაკაცი, 15 ქალი (27 სული), სუხაშვილებს - 1 კომლი, 10 მამაკაცი, 2 ქალი (14 სული), თომაძეებს - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 1 ქალი (5 სული). ჟივიძეები 4 კომლია, 16 მამაკაცი, 13 ქალი (29 სული), ყურგულიშვილები (ყურაულები) - 3 კომლი, 9 მამაკაცი, 6 ქალი (15 სული), ოჩხაშვილები (გოგიაშვილები) - 3 კომლი, 13 მამაკაცი, 8 ქალი (21 სული) (გსიემ, 1956: 112-116).

1814 წლის კამერალური აღწერის მიხედვით ცხავატი და იქ მცხოვრები ყმები ეკუთვნოდათ ქსნისხეობელ მებატონეებს.

თავადების მიხედვით ერისთავის და მისი ძმების: დავით, მირმანოზ და სოლომონის მიწაზე ცხოვრობდნენ: ბუნტურები - 9 კომლი, 27 მამაკაცი, 19 ქალი, 71 დღიური მიწა; კალომლეწავეები - 2 კომლი, 10 მამაკაცი, 4 ქალი, 16 დღიური მიწა; გოგიაშვილები - 4 კომლი, 11 მამაკაცი, 6 ქალი, 21 დღიური მიწა; ჟივაძეები (ჟივიძეები) - 5 კომლი, 11 მამაკაცი, 11 ქალი, 28 დღიური მიწა; სუხაშვილები - 8 კომლი, 28 მამაკაცი, 18 ქალი, 46 დღიური მიწა; ხეტეშვილები - 3 კომლი, 8 მამაკაცი, 6 ქალი, 13 დღიური მიწა; ყურაულები - 3 კომლი, 8 მამაკაცი, 6 ქალი, 16 დღიური მიწა; მელთაურები - 4 კომლი, 10 მამაკაცი, 10 ქალი, 18 დღიური მიწა.

სულ: 38 კომლი, 113 მამაკაცი, 80 ქალი (193 სული). მათზე განკუთვნილი იყო 229 დღიური მიწა.

თავადების შალვა, ელიზბარ და ლუარსაბ ერისთავების მიწაზე ცხოვრობდნენ: გოგიაშვილები - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 5 ქალი, 6 დღიური მიწა; ბუნტურები - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, 6 დღიური მიწა; გოგიაშვილები - 2 კომლი, 8 მამაკაცი, 7 ქალი, 11 დღიური მიწა; ბურდულაშვილები (ბურდულები) - 1 კომლი, 8 მამაკაცი, 4 ქალი, 12 დღიური მიწა, მამიშვილობით მოხსენიებული ესტატეშვილები - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 5 დღიური მიწა; სუხაშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 5 ქალი, 6 დღიური მიწა; ხურიშვილები - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, 6 დღიური მიწა.

სულ: 8 კომლი, 35 მამაკაცი, 25 ქალი, 52 დღიური მიწა (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 367, ფურც. 122-125).

ცხავატის ხეობის სოფლებში უცხოვრია 46 კომლს, 148 მამაკაცსა და 105 ქალს (153 სული), მათზე განპირობებული იყო 281 დღიური მიწა.

1821 წლის კამერალური აღწერის მონაცემებით, ანანურის მაზრის სოფელ ცხავატში პოდპოლკოვნიკ, თავად მიხეილ ერისთავისა და მირმანოზ, სოლომონ და დავით ერისთავების მიწაზე ცხოვრობდნენ: ბუნტურები - 10 კომლი, 28 მამაკაცი, 20 ქალი (48 სული); ჟივადეები (ჟივიძეები) - 4 კომლი, 9 მამაკაცი, 8 ქალი (17 სული); ყურაულები - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 2 ქალი (4 სული), სუხაშვილები (წყაროში მოხსენიებულნი არიან როგორც სუხაევები) - 4 კომლი, 10 მამაკაცი, 9 ქალი (19 სული).

სულ: 23 კომლი, 58 მამაკაცი, 43 ქალი (101 სული).

თავად შალვა ერისთავის მიწაზე ცხოვრობდნენ: ბუნტურები - 8 კომლი, 21 მამაკაცი, 15 ქალი (36 სული); მამიშვილობით მოხსენიებული პეტრეს შვილები - 1 კომლი, 1 მამაკაცი, 3 ქალი (4 სული); ხურიშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 1 ქალი (4 სული).

სულ: 10 კომლი, 25 მამაკაცი, 19 ქალი (44 სული).

სოფელში ცხოვრობდა: 33 კომლი, 83 მამაკაცი, 62 ქალი (145 სული). შესამჩნევია ბუნტურების დომინანცია: 18 კომლი, 49 მამაკაცი, 35 ქალი (84 სული). ცხავატის მცხოვრებნი, ტრადიციულად, ქართველები იყვნენ, გარდა ხურიშვილების ერთკომლიანი ოჯახისა (3 მამაკაცი, 1 ქალი), რომლებიც ოსებად არიან მითითებულნი (სეასცა, ფ. 254, ან. 1 საქმე 689, ფურც. 685-693).

წინა სტატისტიკური და კამერალური აღწერებისაგან განსხვავებით, 1830-1832 წლების აღწერის დროს, ცხავატის უბნები ცალკე სოფლებად და წარმოდგენილი.

ანანურის მაზრა, ცხავატის ხეობა, სოფელი ბუნტურთკარი.

დავით ერისთავის შვილების: პროპორჩიკ როსტომ, გიორგი, ოქროპირ და პოდპორუჩიკ შალვა ერისთავის მიწაზე მცხოვრები ყმები: ბუნტურები - 2 კომლი, 5 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის (8 სული).

თავად მირმანოზ ერისთავის შვილების: ესტატე და კონა ერისთავების მიწაზე მცხოვრები ყმები: ბუნტურები - 2 კომლი, 5 მამაკაცი, 3 ქალი (8 სული), ხეტეშვილები - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი (6 სული, ოსები).

თავადების შალვა, ბიძინა და გიორგი ერისთავების მიწაზე მცხოვრები ყმები: ბუნტურები - 2 კომლი, 13 მამაკაცი, 8 ქალი (21 სული).

სულ ბუნტურთკარში: 7 კომლი, 27 მამრობითი და 16 მდედრობითი სქესის (43 სული). აქედან ბუნტურები (ქართველები) - 6 კომლი, 23 მამრობითი და 14 მდედრობითი სქესის (37 სული). ხეტეშვილები (ოსები) - 1 კომლი, 4 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის (6 სული) (სეასცა, ფ. 254, ან. 1 საქმე 1247, ფურც. 225-227).

ანანურის მაზრა, ცხავატის ხეობა, სოფელი გოგიჩაანთკარი.

თავადების შალვა, ბიძინა და გიორგი ერისთავების მიწაზე მცხოვრები ყმები: ბუნტურები - 2 კომლი, 8 მამაკაცი, 5 ქალი (13 სული).

თავად პოდპორუჩიკ ივანე ერისთავის მიწაზე მცხოვრები ყმები: ბუნტურები - 1 კომლი, 7 მამაკაცი, 5 ქალი (12 სული).

პროპორჩიკ როსტომ, გიორგი, ოქროპირ და პოდპორუჩიკ შალვა ერისთავის მიწაზე მცხოვრები ყმები: ბუნტურები - 1 კომლი, 5 მამაკაცი, 4 ქალი (9 სული).

სულ გოგიჩაანთკარში: 4 კომლი, ბუნტურები, 20 მამრობითი და 14 მდედრობითი სქესის (34 სული), ქართველები (სეასცა, ფ. 254, ან. 1 საქმე 1247, ფურც. 227-229).

ანანურის მაზრა, ცხავატის ხეობა, სოფელი ჟივთკარი.

ესტატე და კონა ერისთავების მიწაზე მცხოვრები ყმები: ჟივიძეები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 5 ქალი (8 სული).

პროპორჩიკ როსტომ, გიორგი, ოქროპირ და პოდპორუჩიკ შალვა ერისთავის მიწაზე მცხოვრები ყმები: ჟივიძეები - 6 კომლი, 20 მამაკაცი, 21 ქალი (41 სული); ყურაულები - 1 კომლი, 1 მამაკაცი, 4 ქალი (5 სული).

თავად, პოდპორუჩიკ ივანე ერისთავის მიწაზე მცხოვრები ყმები: ჟივიძეები - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 3 ქალი (5 სული); ყურაულები - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 3 ქალი (5 სული).

სულ ჟივთკარში: 10 კომლი, 28 მამრობითი და 36 მდედრობითი სქესის (64 სული), აქედან: ჟივიძეები - 8 კომლი, 25 მამაკაცი, 29 ქალი (54 სული); ყურაულები - 2 კომლი, 3 მამაკაცი, 7 ქალი (10 სული), ქართველები (სეასცა, ფ. 254, ან. 1 საქმე 1247, ფურც. 223-225).

ანანურის მაზრა, ცხავატის ხეობა, სოფელი სუხაანთკარი.

პროპორჩიკ როსტომ, გიორგი, ოქროპირ და პოდპორუჩიკ შალვა ერისთავის მიწაზე მცხოვრები ყმები: სუხაშვილები იგივე ბუნტურიშვილები - 2 კომლი, 9 მამაკაცი, 11 ქალი (20 სული); ბუნტურები - 4 კომლი, 13 მამაკაცი, 10 ქალი (23 სული).

ესტატე და კონა ერისთავების მიწაზე მცხოვრები ყმები: სუხაშვილები იგივე ბუნტურიშვილები - 1 კომლი, 5 მამაკაცი, 6 ქალი (11 სული); ბუნტურები: 1 კომლი - 5 მამაკაცი, 3 ქალი (8 სული).

შალვა, ბიძინა და გიორგი ერისთავების მიწაზე მცხოვრები ყმები: ბუნტურები - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 3 ქალი (7 სული).

სულ სუხანთკარში: 9 კომლი, 36 მამრობითი და 33 მდედრობითი სქესის (69 სული), აქედან: სუხაშვილები იგივე ბუნტურიშვილები - 3 კომლი, 14 მამაკაცი, 17 ქალი (31 სული); ბუნტურები - 6 კომლი, 22 მამაკაცი, 16 ქალი (38 სული), ქართველები (სეასცა, ფ. 254, ან. 1 საქმე 1247, ფურც. 220-222).

ანანურის მაზრა, ცხავატის ხეობა, სოფელი ღაროეთი.

პროპორჩიკ როსტომ, გიორგი, ოქროპირ და პოდპორუჩიკ შალვა ერისთავის მიწაზე მცხოვრები ყმები: მელთაურები - 2 კომლი, 6 მამაკაცი, 3 ქალი (9 სული).

თავად, პოდპორუჩიკ ივანე ერისთავის მიწაზე მცხოვრები ყმები: ბუნტურები - 1 კომლი, 1 მამაკაცი, 2 ქალი (3 სული); მელთაურები - 1 კომლი, 7 მამაკაცი, 3 ქალი (10 სული).

ესტატე და კონა ერისთავების მიწაზე მცხოვრები ყმები: მელთაურები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი (6 სული).

შალვა, ბიძინა და გიორგი ერისთავების მიწაზე მცხოვრები ყმები: ბუნტურები - 4 კომლი, 15 მამაკაცი, 11 ქალი (26 სული).

სულ ღაროეთში: 9 კომლი, 32 მამრობითი და 22 მდედრობითი სქესის (54 სული). აქედან: მელთაურები - 4 კომლი, 16 მამაკაცი, 9 ქალი (25 სული); ბუნტურები - 5 კომლი, 16 მამაკაცი, 13 (29 სული), ქართველები (სეასცა, ფ. 254, ან. 1 საქმე 1247, ფურც. 217-219).

ანანურის მაზრა, ცხავატის ხეობა, სოფელი წინუბანი.

თავად, პოდპორუჩიკ ივანე ერისთავის მიწაზე მცხოვრები ყმები: ბუნტურები - 5 კომლი, 20 მამაკაცი, 22 ქალი (42 სული).

პროპორჩიკ როსტომ, გიორგი, ოქროპირ და პოდპორუჩიკ შალვა ერისთავის მიწაზე მცხოვრები ყმები: ბუნტურები - 2 კომლი, 6 მამაკაცი, 6 ქალი (12 სული).

ესტატე და კონა ერისთავების მიწაზე მცხოვრები ყმა-გლეხები: ბუნტურები - 1 კომლი, 6 მამაკაცი, 1 ქალი (7 სული).

თავადების შალვა, ბიძინა და გიორგი ერისთავების მიწაზე მცხოვრები ყმები: ხურიშვილები - 1 კომლი, 7 მამაკაცი, 7 ქალი (14 სული), ოსები.

სულ წინუბანში: 9 კომლი, 39 მამრობითი და 36 მდედრობითი სქესის (75 სული). აქედან ბუნტურები (ქართველები) - 8 კომლი, 32 მამრობითი და 29 მდედრობითი სქესის (61

სული). ხურიშვილები (ოსები) - 1 კომლი, 7 მამრობითი და 7 მდედრობითი სქესის (14 სული) (სეასცა, ფ. 254, ან. 1 საქმე 1247, ფურც. 229-232).

სულ ცხავატის ხეობაში უცხოვრია 48 კომლს, 182 მამაკაცსა და 157 ქალს (339 სული). აქედან: ბუნტურები, რომლებიც ყველა უბანში ცხოვრობდნენ, გარდა ჟივთკარისა, იყვნენ - 29 კომლი, 113 მამაკაცი, 86 ქალი (199 სული); სუხაშვილები იგივე ბუნტურიშვილები ცხოვრობდნენ სუხაანთკარში - 3 კომლი, 14 მამაკაცი, 17 ქალი (31 სული); მელთაურები ცხოვრობდნენ ღაროეთში - 4 კომლი, 16 მამაკაცი, 9 ქალი (25 სული); ჟივიძეები ცხოვრობდნენ ჟივთკარში - 8 კომლი, 25 მამაკაცი, 29 ქალი (54 სული); ყურაულები ასევე ცხოვრობდნენ ჟივთკარში - 2 კომლი, 3 მამაკაცი, 7 ქალი (10 სული), ხურიშვილები ცხოვრობდნენ წინუბანში - 1 კომლი, 7 მამაკაცი, 7 ქალი, ხეტეშვილები ცხოვრობდნენ ბუნტურთკარში - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი (6 სული).

ხეობაში მცხოვრები 48 კომლიდან 46 კომლი ქართველები იყვნენ, 171 მამაკაცი, 148 ქალი (319 სული), 2 კომლი - ოსები, 11 მამაკაცი, 9 ქალი (20 სული).

1843 წლის აღწერის დროს ცხავატის მოსახლეობა მკვეთრად შემცირებული, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო მაღალი სიკვდილიანობითა და მოსახლეობის ხშირი მიგრაციით. ამასთან, აღწერაში მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლების შესახებ გვხვდება ცნობები. ცხავატის ხეობა იმ დროისთვის ექვემდებარებოდა გორის მაზრას.

სოფელ ბუნტურთკარში ცხოვრობდნენ: ბუნტურები - 3 კომლი, 10 მამაკაცი, ქართველები; გოგიჩაანთკარში - ბუნტურები იგივე გოგიჩაშვილები - 3 კომლი, 6 მამაკაცი. ქართველები; ჟივთკარში - თავად ივანე ერისთავის მიწაზე მცხოვრები ჟივიძეები - 6 კომლი, 15 მამაკაცი. ქართველები; სუხაანთკარში - თავადების როსტომ და შალვა ერისთავების მიწაზე მცხოვრები სუხაშვილები და ბუნტურები. სუხაშვილები - 3 კომლი, 8 მამაკაცი, ბუნტურები - 3 კომლი, 10 მამაკაცი. სულ: 6 კომლი, 18 მამაკაცი, ქართველები; ღაროეთში - მელთაურები და ბუნტურები. მელთაურები - 3 კომლი, 6 მამაკაცი, ბუნტურები - 3 კომლი, 13 მამაკაცი. სულ: 6 კომლი, 19 მამაკაცი. ქართველები. აქედან ბუნტურების ერთი კომლი (ზოთიკა ბუნტურის შვილთან - გიორგისთან ერთად) 1859 წელს გადასახლდა სოფელ ბეჟათკეში (ბეჟანთკარში), №8. წინუბანში ცხოვრობდნენ ბუნტურები და ხურიშვილები. ბუნტურები - 3 კომლი, 10 მამაკაცი, ქართველები; ხურიშვილები - 1 კომლი, 6 მამაკაცი, ოსები. სულ: 4 კომლი, 16 მამაკაცი (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 2038).

მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებში ცხავატის ხეობაში აღწერილია 28 კომლი, 84 მამრობითი სქესის. ბუნტურები - 12 კომლი, 43 მამაკაცი; სუხაშვილები იგივე ბუნტურები - 3 კომლი, 8 მამაკაცი; გოგიჩაშვილები იგივე ბუნტურები - 3 კომლი, 6 მამაკაცი; ჟივიძეები - 6 კომლი, 15 მამაკაცი; მელთაურები - 3 კომლი, 6 მამაკაცი; ხურიშვილები - 1 კომლი, 6 მამაკაცი. 27 კომლი ქართველები იყვნენ, 78 მამაკაცი, 1 კომლი ოსები - 6 მამაკაცი. ახალ აღწერაში ბუნტურებისგან გამოყოფილია გოგიჩაშვილების გვარი, თუმცა ჯერ კიდევ მოიხსენიება იგივე ბუნტურად, ისევე, როგორც 1830-1832 წლებში - სუხაშვილების.

როგორც ჩანს, 1843 წლის მონაცემები არასრულია, რასაც ავსებს მომდევნო 1860 წლის კამერალური აღწერა. იმ დროისთვის ცხავატის ხეობაში უცხოვრია 44 კომლს (176 მამრობითი სქესის, 136 მდედრობითი, სულ: 312 სული).

ცხავატის ხეობაში მამულები და ყმები ეკუთვნოდათ მეზატონეებს: დავით ივანეს ძე, დავით ლუარსაბის ძე, ბიძინა რევაზის ძე, კონა, ესტატე, გიორგი ერისთავებს, ალექსანდრე ერისთავის მეუღლეს - მანანა ერისთავს.

ცხავატში ცხოვრობდნენ: ბუნტურები, ჩუმაშვილები, გოგიაშვილები, გოგიჩაშვილები, ჟივიძეები, ყურაულები, სუხაშვილები, ბურდულები, მელთაურები, ხურიშვილები, კალომღეწავები.

დომინანტი გვარი კვლავაც ბუნტური იყო, ცხოვრობდნენ ბუნტურთკარში, სუხანთკარში და ციხის-სოფელში ანუ წინუბანში - 14 კომლი, 49 მამაკაცი, 37 ქალი (86 სული), ჟივიძეები - გოგიჩანთკარსა და ჟივთკარში - 8 კომლი, 24 მამაკაცი, 23 ქალი (43 სული), სუხაშვილები - სუხანთკარში - 4 კომლი, 23 მამაკაცი, 12 ქალი (35 სული), გოგიჩაშვილები - გოგიჩანთკარში - 4 კომლი, 28 მამაკაცი, 23 ქალი (41 სული), გოგიაშვილები და ჩუმაშვილები - ბუნტურთკარში. გოგიაშვილები - 1 კომლი, 6 მამაკაცი, 5 ქალი (11 სული), ჩუმაშვილები - 1 კომლი, 7 მამაკაცი, 7 ქალი (14 სული), კალომღეწავები ციხის-სოფელში ანუ წინუბანში - 2 კომლი, 7 მამაკაცი, 4 ქალი (11 სული), ამავე სოფლის მკვიდრნი იყვნენ ხურიშვილები - 2 კომლი, 11 მამაკაცი, 10 ქალი (21 სული), ყურაულები - ჟივთკარში - 1 კომლი, 4 მამრობითი სქესის, 2 მდედრობითი (6 სული) (**ახლოური, 2025: 217**).

მომდევნო კამერალური აღწერა 1873 წელს ჩატარდა. გრაფების მიხედვით აღწერაში მოცემულია აღწერილი პირების სახელი, მამის სახელი, გვარი, ასაკი, სარწმუნოება, შთამომავლობა, საქმიანობა („რა ხელობას აწარმოებს“), მითითებულია, „ხომ არ ასრულებს რომელსამე განსაკუთრებულ სამსახურს“ და ასე შემდეგ.

აღწერაში „ახალშობილად“ იხსენიებდნენ პირს, რომელიც წინა 1860 წლის აღწერის დროს დაბადებული არ იყო, გაშვებული კი წინა აღწერაში გამორჩენილს ან გამოტოვებულს ნიშნავდა. ყმა-გლეხების საკუთარი სახელები კნინობითი ფორმითაა მითითებული, მაგალითად: აბრამა, ალექსა, გაბრიელა...

ცხავატის სოფლები, იმ დროისთვის თბილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის მონასტრის (ახლანდელი ლარგვისი) საზოგადოებაში შედიოდა.

მიეყვით სოფლების ჩამონათვალს...

„კამერალნი სია №57 ტფილისის გუბერნიის დუშეთის უეზდის მთის ოკრუგის სოფლის ბუნტურთკარისა. სოფელს ბუნტურთ კარში მცხოვრებნი დროებით ვალდებულნი (გლეხნი) კნიაზ ესტატე ერისთავის მიწაზედ“:

კომლი 1 (1) (ფრჩხილებში მითითებული ციფრი მიგვანიშნებს წინა აღწერის ნომერს). გოგილა იოსების ძე ჩუმაშვილი - 48 წლის, ამისი შვილები: ივანე - 18 წლის, ქიტესა - 7 წლის, ახალშობილი.

გიგოლას ძმა სოლომონი - 42 წლის.

სულ ოჯახში 5 სულია: 4 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 2 (1). გლახა სოსიკას ძე ჩუმაშვილი - 40 წლის, ამისი შვილები: სოსიკა - 18 წლის, ბერო - 16 წლის, ზაქარია - 8 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 4 სულია, მამრობითი სქესის.

კომლი 3 (2). ნინიკა ფილიპეს ძე ყველაშვილი - 43 წლის, ამისი შვილები: გიორგი - 6 წლის, ახალშობილი, დიმიტრი - 3 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 5 სულია: 3 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

თავად ბიძინა ერისთავის (აღწერაში, უმეტეს შემთხვევაში, ერისთავებს ერისთავებად წერენ) მიწაზე მცხოვრები ყმები:

კომლი 4 (3). ნინიკა ზაქარიას ძე გოგიაშვილი - 53 წლის, ამისი შვილები: შიო - 20 წლის, ზაქარა - 10 წლის ახალშობილი, პავლე - 4 წლის ახალშობილი.

ნინიკას ძმები: დავითი - 40 წლის, ქიტესა - 33 წლის.

შვილები (შვილი - დ.ა.) დავითისა: მიხაკა - 2 წლის, ახალშობილი.

შვილები (შვილი - დ.ა.) ქიტესასი ალექსი - 3 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 13 სულია: 8 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

კომლი 5 (3). მოსე ზაქარიას ძე გოგიაშვილი - 43 წლის, ამისი შვილები: სოლო - 18 წლის, გიორგი - 6 წლის, ახალშობილი, ივანე - 3 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 7 სულია: 4 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

თავად დავით გიორგის ძე ერისთავის მიწაზე მცხოვრები ყმები:

კომლი 6 (4). გიორგი შალვას ძე ბუნტური - 29 წლის, ამისი შვილები: შალვა - 7 წლის, ახალშობილი, დათიკა - 3 წლის, ახალშობილი.

გიორგის ძმიშვილი ნიკო ზაქარიას ძე - 2 წლის, ახალშობილი.

გიორგის ბიძაშვილი აბრამ ნინიკას ძე - 10 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 10 სულია: 5 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

სრულებით დროებით ვალდებული გლეხები: 6 კომლი, 28 სული მამრობითი სქესის, 14 მდედრობითი (42 სული), აქედან: ბუნტურების განაყარი ჩუმაშვილები - 2 კომლი, 8

